პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • ოთხშაბათი 11 იანვარი • № 9 (17053) • ფასი 2 კაპ. 1978

საკდესის ცნობა

მიფრინავს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-27“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1978 წლის 10 იანვარს მოსკოვის დროით 15 საათსა და 26 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-27“, რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი და ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი.

„სოიუზ-27“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეერთება „სალუტ-6“ პილოტირებულ ორბიტულ სადგურთან და ორი კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟებით სადგურში ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობა.

„სოიუზ-27“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს.

კოსმონავტებმა ამხანაგებმა ვ. ა. ჯანიბეკოვმა და ო. გ. მაკაროვმა დაიწყეს ფრენის პროგრამის შესრულება.



„სოიუზ-27“ კოსმოსური ხომალდის მეთაური ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი.

„სოიუზ-27“ კოსმოსური ხომალდის ბორტინჟინერი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი.

საკდესი-საძინფორმის ტელეფოტო.

უსტ მოსავალს — მტკიცე საფუძველი

ჩვენი ქვეყანა რამდენიმე დღეა მეათე ხუთწლედის მეხუთე წლის კალენდრით ცხოვრობს. ხალხის შემოქმედებითმა ძალამ, უნარმა, შრომამ ახალი წლის პირველსავე დღეებში მძლავრად იჩინა თავი. რედაქციაში ყოველდღე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოდის სახიხარულო ცნობები, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი ძალით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გადდებული ვალდებულებები იკისრეს ჩუმლაყელმა მევენახეებმა, ხელვაჩაურისა და ახმეტის რაიონების მეცხოველეებმა, ნორიოელმა მეფრინველეებმა, ნატანებელმა მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა. ვალდებულებათა შესასრულებლად ახალი წლის პირველივე დღიდან ენერგიულად შრომობენ მთასა თუ ბარში.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელები დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის განწყობითა და რიტმით მუშაობენ, ახალი ძალით ებრძვიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. საქართველოს სოფლის მშრომელების კანონიერ სიამაყეს იწვევს ის, რომ საიუბილეო წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ყველაზე მოსავლიან 1975 წელთან შედარებით 8,4 პროცენტით გაიზარდა. მეჩაიეთა ჯერ არნახული გამარჯვების ამბავი მთელ ჩვენს დიად ქვეყანას მოედო, მათ 412 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ამით ხუთწლედის გოლო წლისათვის დასახულ მიჯნებს, გადალამეტეს. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩვენმა მემინდვრეებმა, მეხილეებმა, მეციტრუსეებმა, მეკარტოფილეებმა ,მეეარხლეებმა, მებოსტნეებმა. ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტებისა და ყურძნის შესყიდვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა საფუძვლიანი და დასაბუთებული დებულებანი, რომელთა მიზანია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, ხუთწლიანი გეგმის შესრულება. „საჭირო, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ასეთია სადღეისო ლოზუნგი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ჩვენმა რესპუბლიკამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაადიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება. მაგრამ ეს ამის უფლებას არ გვაძლევს, რომ ოვითკმაყოფილებას მივეცეთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე ღრმად იყო გაანალიზებული მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგები და გადაჭრით დაიგმო საწარმოო გეგმების უსიფუძვლო შემცირება-კორექტირების პრაქტიკა. გეგმა ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი იარაღია, — ითქვა დეკემბრის პლენუმზე, — იგი შეიძლება განვიხილოთ და უნდა განვიხილოთ კიდეც შემოშავების სტადიაზე. მაგრამ როცა გეგმა უკვე დამტკიცებულია და სახელმწიფო კანონის ძალა აქვს მინიჭებული, მხოლოდ ერთი მოვალეობა გვრჩება, — შეასრულოთ ნაკლები დანახარჯებით და საუკეთესო მაჩვენებლებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უნდა შევიმუშაოთ შეფასების კრიტერიუმების ისეთი სისტემა, რომელიც სტიმულს მისცემს შრომითს კოლექტივებს, რომ მიიღონ და შეასრულონ დაძაბული გეგმები. მერვე პლენუმი მთელი სერიოზულობით მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობაში არსებული ბევრი რეზერვი და რესურსები დროულად ჩავაყენოთ პროდუქტების წარმოების სამსახურში. ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, რეხეტბლიკაში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ამასაც კი ვერ ახერხებენ, რომ მოწინავე მეზობლების მდიდარი გამოცდილება შეისწავლონ, გაიზიარონ, წარმოებაში დანერგონ და ამ გზით დაძლიონ ნაკლოვანებები, რომლებიც მათს ეკონომიკას უკან ეწევა.

ყაზბეგის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკანასკნელ წლებში მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებაზე არავის უფიქრია. პირიქით, იქ გამეფებული უკონტროლობის და აშკარა დაუდევრობის შედეგად შემცირდა სამეურნეო მაჩვენებლები. გარდა ამისა თავიანთი არსებობის მანძილზე პირველად რაიონის კოლმეურნეობებმა გასული სამეურნეო წელი მეტად დიდი ზარალით დამთავრეს. სონის კოლმეურნეობის 30 მწყემსს ორი წლის კუთვნილი შრომის საზღაური — 15,2 ათასი მანეთი არ მიუღია. ეს იმიტომ, რომ აქ უკონტროლობის შედეგად რამდენიმე კაცმა დიდძალი საზოგადოებრივი ქონება მიიტაცა. ამას ისიც დაერთო, რომ შარშანწინ ხელმძღვანელთა უსულგულობის წყალობით 9,3 ათასი ცხვარი გაუპარსავი დატოვეს და ამით დაახლოებით 65 ათასი მანეთი იზარალეს.

რეზერვების ძიებისა და წარმოებაში დანერგვისათვის თავიდ დროზე რომ ეზრუნათ, სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებს არ გაუჭირდებოდათ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ მეურნეობებს აკლიათ უხეში საკვები, ზოგან სანაბევროდაც არ შეუსრულებიათ საკვების დამზადების გეგმები, ზოგან კი სრულად არა აქვთ ისეთი ყუათიანი საკვები, როგორიც არის ხილოსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე აღინიშნა, რომ, ჩაისა და ციტრუსების გაშენების მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდების მიუხედავად, მოთხოვნა უსწრებს წარმოების შესაძლებლობებს. ამის გამო მეჩაიეობაში მიღწეულია მექანიზაციის მოსავლიანობის თითქმის ზღვრული მაჩვენებლები. ჩაით ქვეყნის უზრუნველყოფის ამოცანა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი და ჭარბტენიანი მიწების ათვისებისა და ახალი კულტივაციების გაშენების გზით. გაანგარიშებულია, რომ კოლხეთში შეიძლება გაშენდეს 25-30 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. საიდანაც 150 ათას ტონა ჩაის ფოთოლს მივიღებთ. ამოცანა ახლა ის არის, რომ ეს ფართობები დროულად ავითვისოთ.

ახლა საზოგადოებრივი მეურნეობები საიუბილეო წლის შედეგებს აჯამებენ. კოლმეურნეობები ემზადებიან საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოსაწყობად. სოფლის პარტიული და სამეურნეო ორგანოებისათვის. მთავარი დღეს ის არის, რომ საქმიანად, ყოველი წვრილმანის გაანალიზების გზით შევაჯამოთ გასული წლის შედეგები და დავსახოთ მომდინარე წლის საბრძოლო გეგმები.

მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები ბევრს ლაპარაკობენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებაზე. მეცხოველეობის განვითარებაზე, გაბედულად კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, მაგრამ მერე ავიწყდებათ, რომ სიტყვას შესრულება უნდა ამისათვის მათ რაიონულ თუ რესპუბლიკურ თათბირებზე მკაცრად აკრიტიკებენ ხოლმე. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი შეეჩვევნენ კრიტიკას და მეურნეობის ჩამორჩენას. ახალ წელს ასეთ ვაიხელმძღვანელებს, სიტყვის გამტეხებს პასუხი უნდა მოვთხოვოთ, საკადრისი მივუზღათ.

კარგად არის ნათქვამი, ხოფილი ღონიერია, თუ კაცი გონიერია. სოფლის რეზერვები, რესურსები გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ხუთწლედის მეორე წელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისათვის ურიგო არ იყო, მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ახლა მთავარია ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ორგანიზებული, გეგმიანი შრომით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ წლევანდელი წლის უსგ მოსავლს. მთელი ჩვენი ნიჭი. ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ იმას, რომ ხუთწლედის მესამე წელი უფრო უსვი იყოს, რომ ხორცი შევასხათ ჩვენი პარტიისა და მთავრობის გეგმებს, რომ საპაჭიო წვლილი შევიტანოთ ამ გეგმების შესრულებაში, რომ კიდევ უფრო აყვავდეს საბჭოთა ერთიან ძმურ ოჯახში ჩვენი რესპუბლიკა, რომ უფრო ძლიერი იყოს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო!

ბიოგრაფიის ფურცლები

პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი

„სოიუზ-27“ ხომალდის მეთაური ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი დაიბადა 1942 წელს ტაშკენტის ოლქის ბოსტანლიყის რაიონის დაბა ისკანდარში.

1965 წელს მან დაამთავრა ეისკის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებელი. შემდეგ მსახურობდა მფრინავ-ინსტრუქტორად სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ვ. ა. ჯანიბეკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1970 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ვ. ა. ჯანიბეკოვი ჩაირიცხა 1970 წელს. მან გაიარა პილოტირებული ხომალდის „სოიუზისა“ და ორბიტული სადგურის „სალუტის“ პროგრამით ფრენისათვის მზადების სრული კურსი. ვ. ა. ჯანიბეკოვი ავრეთვე ემზადებოდა „სოიუზ“-„აპოლონის“ ხომალდების ერთობლივი ფრენისათვის როგორც ხომალდის მეთაური. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა პილოტირებული კოსმოსური ხომალდისა და სადგურების ფრენის მართვაში.

ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი

„სოიუზ-27“ კოსმოსური ხომალდის ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი დაიბადა 1933 წელს კალინინის ოლქის უდომლის რაიონის სოფელ უდომლიაში.

1957 წელს მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში. ოლეგ გრიგოლის ძემ თავი გამოიჩინა, როგორც ინიციატივიანმა და ერუდირებულმა ინჟინერმა, აქტიურად მონაწილეობდა კოსმოსური ხომალდებისა და ორბიტული სადგურების შექმნის სამუშაოებში.

ო. გ. მაკაროვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1961 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ოლეგ გრიგოლის ძე ჩაირიცხა 1966 წელს, გაიარა „სოიუზის“ პილოტირებული ხომალდებისა და „სალუტის“ ორბიტული სადგურების ფრენისათვის მზადების სრული კურსი. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა პილოტირებული კოსმოსური ხომალდებისა და ორბიტული სადგურების ფრენის მართვაში.

პირველი კოსმოსური ფრენა ო. გ. მაკაროვმა განახორციელა 1973 წლის სექტემბერში, როგორც „სოიუზ-12“ ხომალდის ბორტინჟინერმა.

„სალუტ-6“: ფრენა პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს

ფრენის მართვის ცენტრი, 9 იანვარი. (საკდესი). კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო განაგრძობენ მეცნიერულ-ტექნიკური კვლევანი და ექსპერიმენტებს „სალუტ-6“ პილოტირებულ ორბიტულ სადგურში. გასულ კვირას ეკიპაჟს საამდიცინო ექსპერიმენტების დღე ჰქონდა. კოსმონავტებმა შეასრულეს სისხლის მიმოქცევის სისტემის კომპლექსური კვლევის მორიგი ციკლი. განხორციელდა აგრეთვე ეკიპაჟის ორივე წევრის კლინიკური და ელექტროკარდიოგრამული გამოკვლევა. მშვიდ მდგომარეობაში და ველოერგომეტრზე ფიზიკური დატვირთვის შემდეგ.

ნაშუადღევს დედამიწის ღამის მხარეზე სადგურის ფრენის დროს კოსმონავტები აკვირდებოდნენ მზის გვირგვინსა და ზოდიაქო ხინათლეს. ეს ექსპერიმენტი შესრულდა მზისაგან დიდ მანძილზე მზის გვირგვინის მტვრისა და ელექტრონული კომპონენტების სტრუქტურის შესწავლის მიზნით.

დღეანდელი დღის პროგრამაში დაგეგმილია ასტროორიენტაციისა და კოსმოსური ნავიგაციის პერსპექტიული ხელსაწყოების კვლევისა და გამოცდის ტექნიკური ექსპერიმენტები. ექსპერიმენტები სრულდება საგურის როგორც დედამიწის ღამის, ისე განათებულ მხარეზე ფრენის დროს. კოსმონავტები აკრედენ ამოშავებენ ამ ხელსაწყოებზე მუშაობის მეთოდიკას.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 65, ბორტინჟინერისა — 60 წუთში, არტერიული წნევა შესაბამისად ოდრის ვერცხლისწყლის სვეტის 125X60 და 120X60 მილიმეტრს.

„სალუტ-6“ სადგური ფრენას განაგრძობს.

წლიური გეგმა — 7 ოქტომბრისათვის

მოსკოველთა მაგალითით

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის საღარავი საამქროს კოლექტივმა გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მეორე წლის შედეგების მიხედვით. ამ ქვეგანყოფილებამ საწარმოში პირველმა დაუპირა მხარი მოსკოველთა წამოწყებას — ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის.

გორის ბამბეულის კომბინატის № 1 საფეიერო ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა სამი წლის დავალების გადაჭარბებით გამოუშვას 15 ტონა ნართი. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუპირა მხარი მოსკოველთა ინიციატივას — ხუთწლედის სამი წლის დავალება შეასრულონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის. შეჯიბრების ავანგარდში არიან ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან ოსტატის თანაშემწეები გ. ჯოხონელიძე და გ. კუთხაშვილი. ისინი ცვლის დავალებებს 20-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში დაიწყო გადაძახილის — „მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს“. მეორე ეტაპი. სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ჯ. შენგელიას, შ. კაპანაძის, ა. ბაშკატოვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებიც რამდენიმე თვით უსწრებენ კალენდარს. იანვრიდან ჯ. შენგელიას კოლექტივმა პირადი დამლით დაიწყო მუშაობა. № 8 საამქროს ცხრა ახალგაზრდა მუშამ გადაწყვიტა პროდუქცია კომკავშირული გარანტიით ჩაბარის.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის გორტარის საწარმოო კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის სამი წლის დავალება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის გაანაღდოს. მოსკოველთა თაოსნობას პირველმა დაუპირა მხარი იმ ქალმ, რომელსაც ლ. თორდია ხელმძღვანელობს. რ. ბერიშვილი, ვ. გუგუჩავა, თ. საჯაია და საწარმოს ბევრი სხვა მუშაკი დღიური ნორმების 15-20 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

(საქინფორმი).

საუბარი კრემლში

10 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. სონოდა, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.

ხ. სონოდამ ა. ნ. კოსიგინს გადასცა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ტ. ფუკუდას პირადი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ა. ნ. კოსიგინსა და ხ. სონოდას შორის გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობისა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხებზე.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან და გულახდილ ატმოსფეროში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრებას, ყველა დარგში თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებასა და გაფართოებას. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ მნიშვნელოვანი შესაძლებლობანია სსრ კავშირისა და იაპონიის მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის, და დაადასტურა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის შემდგომ განვითარებას სტაბილურ საფუძველზე, რისთვისაც, რა თქმა უნდა, ხაჭიროა ორივე მხარის მეცადინეობა.

გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განმტკიცება კეთილმეზობლობისა და ურთიერთგაგების გზით შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს და დადებით გავლენას მოახდენს აზიისა და მთელი მსოფლიოს ვითარებაზე.

(საკდესი).

მოლაპარაკება

10 იანვარს მოლაპარაკება დაამთავრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. სონოდამ.

მხარეები განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საკითხებისა და მათთვის საინტერესო ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემის განხილვას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუცვალეს წერილები, რომლებიც მოქმედების ვადას უგრძელებენ 1972 წლს მიღწეულ მორიგებას ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის შესახებ. (საკდესი).

ფერმის მოწინავეები

ახალციხე. (საკ. კორ.). სანერგე მეურნეობის მეცხოველეებმა კარგად დაიწყეს ახალი წელი, პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

მწველავები ცდილობენ, რომ გასული წლის პირველი დღეების მაჩვენებლებს გადაჭარბონ. ფერმაში შარშან პირველ იანვარს ერთ ბრიგადაში 97 კილოგრამი რძე მიიღეს, წელს პირველ იანვარს ეს მაჩვენებელი 65 კილოგრამითა გაიზარდა, 2 იანვარს — 60 კილოგრამით, 3 იანვარს — 72 კილოგრამით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და წელს თითოეულ ძროხაზე 2.100 კილოგრამის ნაცვლად 2.200 კილოგრამი რძის მიღება ივალდებულეს მწველავებმა თ. მოსაძემ და გ. კუპრაძემ.

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი!

1978 წლის სოციალისტური ვალდებულებები:

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნისა

სასაქონლო პროდუქციის წარმოების წლიურ გეგმას შეასრულებს 21 დეკემბრისათვის, პროდუქციის რეალიზაციისას — 27 დეკემბრისათვის;

გამოუშვებს 210 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას;

უზრუნველყოფს 0,5 პროცენტით გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გადიდებას;

შემცირებს პროდუქციის თვითღირებულებას 0,7 პროცენტით გეგმასთან შედარებით;

მიიღებს 100 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას;

დაზოგავს 200 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას და 280 ტონა პირობით სათბობს;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიიღებს 80 ათას მანეთ პირობით წლიურ ეკონომიას;

მექანიკურ და საინსტრუმენტო საამქროებში მოაწყობს სანიმუშო-ხაჩვენებელ უბნებს;

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას გაზრდის ხუთი ათასი მანეთით გეგმასთან შედარებით, ვაფიართოებს მის ასორტიმენტს;

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის დაზოგილი მასალების ხარჯზე შეაკეთებს ერთ სამგზავრო ვაგონს და ორ საფლოტაციო დანადგარს.

საწარმოს კოლექტივი განაგრძობს სოციალისტურ შეჯიბრებას კიევის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანასთან და ბაქოს შმიდტის სახელობის მანქანათმაშენებელ ქარხანასთან.

რუსთავის ქიმიური ქარხნის ამიაკის საწარმოსი

შეასრულებს ხუთწლედის სამი წლის გეგმას ვადამდე: ამიაკის პირველი რიგისა და № 2 ჰაერის განაწილების საამქროებში — 7 ოქტომბრისათვის, ხოლო მთლიანად საწარმოს მიხედვით 1978 წლის 7 ნოემბრისათვის;

წარმოების ინტენსიფიკაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ძირითადი მოწყობილობის რემონტის დაჩქარების ღონისძიებათა განხორციელების გზით გეგმის გადაჭარბებით გამოიმუშავებს რამდენიმე ათას ტონა ამიაკს;

შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაზრდის ერთი პროცენტით;

პროდუქციის თვითღირებულებას 1977 წელთან შედარებით 2,5 პროცენტით გაადიდებს;

სპეციალური მოწყობილობის ვადამდე ამუშავების და ათვისების გზით გამოიმუშავებს ათი ათასობით კუბურ მეტრ ხალას აროგნს;

დაზოგავს 50 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს, 1.300 კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 2.600 ჰექტაკალორია ორთქლს, 560 ათას კუბურ მეტრ ტექნიკურ წყალს.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღებს 200 ათას მანეთ ეკონომიკურ ეფექტს;

ხინთოზურ ამიაკს წარადგენს ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად.

ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე ახალი მუშების მომზადებას, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველო

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ პროგრამას შეასრულებს 22 დეკემბრისათვის, უზრუნველყოფს 22 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მეორე რიგის პირველი აგრეგატის ამოქმედებას 7 ნოემბრისათვის, ხოლო ასეთივე სიმძლავრის მეორე აგრეგატისას — 22 დეკემბრისათვის;

მშენებლობაში პროგრესული კონსტრუქციების და ტექნიკის დანერგვის გზით უზრუნველყოფს 90 პროცენტამდე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას — 0,2 პროცენტით გეგმასთან შედარებით;

დაზოგავს 250 ტონა ცემენტს, 100 ტონა ლითონს, 50 ტონა პირობით სათბობს;

მიაღწევს, რომ საექსპლოატაციოდ ყველა ობიექტი გადაეცეს „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 10 მოძრავი მექანიზებული კოლონის ა. ლაცაბიძის კომკლექსური ბრიგადისა

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას შეასრულებს 7 ნოემბრისათვის;

გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცემს 16-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

უზრუნველყოფს, რომ ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაეცეს მხოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით;

შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 5,3 პროცენტით შარშანდელთან შედარებით;

მიაღწევს წარმოების სანიმუშო კულტურას, გამტკიცებს შრომის დისციპლინას;

ამაღლებს მუშათა კვალიფიკაციას ერთი თანრიგით, ხოლო ბრიგადის ორ წევრს მომიჯნავე პროფესიებს შეასწავლის;

განაგრძობს ბრიგადული იჯარით მუშაობის სრულყოფას;

მოიპოვებს კომუნისტური შრომის ბრიგადის სატიტო წოდებას.

გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თ. ხაბაზიშვილის № 1 ბრიგადისა

გასულ წელს ბრიგადამ მსხმოიარე ბაღების ყოველ ჰექტარზე მოიწია 140,5 ცენტნერი ხილი, გეგმით გათვალისწინებული 70,71 ცენტნერისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 100 ცენტნერის ნაცვლად. მიღწეულია წარმატებანი მარცვლეულისა და ბოსტნეულის მოვლა-მოყვანაშიც. სულ წლის მანძილზე კოლექტივმა აწარმოვა 447.5 ათას მანეთისაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 234 ათასი მანეთის ნაცვლად გაანალიზა რა გასული წლის შედეგები და გამოავლინა მუშაობის გაუმჯობესების დამატებითი შესაძლებლობანი, ბრიგადამ გადაწყვიტა:

მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა გათვალისწინებული 26 ცენტნერის ნაცვლად 32.2 ცენტნერამდე გაზარდოს, ხახვისა — 200 ცენტნერით 100 ცენტნერის ნაცვლად, ხილისა — 166,6 ცენტნერამდე 80 ცენტნერის ნაცვლად.

სულ ხუთწლედის მესამე წლის მანძილზე ბრიგადა აწარმოებს 12 ათას ცენტნერ თესლოვან ნაყოფს 5.760 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო კურკოვან ნაყოფს — 160 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერის ნაცვლად. წარმოების მატება შარშანდელთან შედარებით შეადგენს 21,3 პროცენტს, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 13 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 15 პროცენტით. რენტაბელობის დონე ამაღლდება 41 პროცენტამდე.

(საქინფორმი).

ლენინური იდეების განზორციელება

ვ. ი. ლენინის სტატიის „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ მე-60 წლისთავის გამო

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ვ. ი. ლენინი ოცნებობდა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლას. ამიტომ იგი გულმოდგინედ მუშობდა ხოციალისტური მშენებლობის პრობლემებზე. ამის ერთ-ერთ მთავარ პირობად მას შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავება მიაჩნდა, რის საშუალებადაც იგი შრომითი შეჯიბრების ფართოდ გაშლას თვლიდა. 1917 წლის დეკემბრის ბოლოს მან დაწერა შესანიშნავი სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“, რომელშიც პირველად ჩამოაყალიბა სოციალისტური მშენებლობის ამოცანები. მასში ჩამოყალიბებული დებულებები ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ და სხვა ნაწარმოებებში. ნაშრომებში ჩამოყალიბებული დებულებები შეეხებოდა საკითხებს: ხოციალისტური შეჯიბრება და მუშათა და ყველა შრომელთა დამოუკიდებელი თოსინობის განვითარება შემოქმედებითს, ორგანიზატორულ მუშაობაში, წარმოებისა და პროდუქტების განაწილებისადმი ხაყოველთაო-სახალხო პრაქტიკული კონტროლის მოწესრიგება, დემოკრატიული ცენტრალიზმი სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში.

თუ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა განსაზღვრეს შრომითი შეჯიბრების წარმოშობის მიზეზები და ის სოციალური ურთიერთობა, რომლის დროსაც წარმოიშობა და ვითარდება შრომითი შეჯიბრება, ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა მარქსისტული მოძღვრება შრომითი შეჯიბრების შესახებ. მან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მოიხილა ისეთი სოციალური და ეკონომიკური ძვრების დრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა ხოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების შემოქმედებითი აქტიურობის, მათი შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამოვლინების ფორმა სოციალისტურ საზოგადოებაში, განსაზღვრა მისი არსი და გამოყენების ხფერო, მისი მოქმედების ისტორიულად კონკრეტული საზღვრები.

ყველაზე პირველად ეს დებულება ვ. ი. ლენინმა დასაბუთა სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“, რომელშიც განსაზღვრულია ხოციალისტური შეჯიბრების ობიექტური ბუნება და როლი სოციალისტურ მშენებლობაში, მისი ორგანიზაციის პრინციპები.

ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ხოციალისტური შეჯიბრების წარმოშობის ობიექტური საფუძველია სოციალისტური წარმოებით ურთიერთობა, რაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ ხაკუთრებას ემყარება. შრომითი შეჯიბრების ობიექტური საფუძველი სოციალისტურ ხაზოგადოებაში ისიც არის, რომ რევოლუციის შედეგად იცვლება არა მარტო შრომის ხასიათი და შინაარსი, არამედ მშრომელი ადამიანის ადგილიც შრომის პროცესში.

„ყოველი ფაბრიკა, — წერდა ვ. ი. ლენინი ხტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“, — საიდანაც კაპიტალისტი გაძევებულია ან თუნდაც ალაგმულია ნამდვილი მუშათა კონტროლით, ყოველი სოფელი, საიდანაც გაიძევეს მემამულე ექსპლოატატორი და ჩამოართვეს მას მიწა, დღეს, და მხოლოდ დღეს, წარმოადგენს ისეთ ასპარეზს, რომელზედაც შეუძლია თავი გამოიჩინოს მშრომელმა ადამიანმა, შეუძლია ცოტათი წელში გაიმართოს, გასწორდეს, თავი იგრძნოს ადამიანად. საუკუნეებით ხნეებისათვის შრომის, ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი ადამიანმა თავისთვის იმუშაოს, და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი“.

ამ სტატიაში ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ შეჯიბრების გაშლის ყველაზე ხელსაყრელი პირობებს ქმნის სოციალისტური წყობილება და ქმნის მას თავისი არსებობის დასაწყისშივე. მტრების ცილისწამების პასუხად ვ. ი. ლენინი წერდა: „სოციალიზმი არა თუ არ აკრძალავს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად **ფართოდ**, ნამდვილად **მასობრივად**, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყენანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაცაცხარავონ ნიჭი, რომელიც ხალხში უღეგია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა“.

ვ. ი. ლენინის აზრით, „დღეს, როდესაც ხელისუფლების სათავეში ხოციალისტური მთავრობა დგას, ჩვენი ამოცანაა — შეჯიბრების მოწყობა“. ვ. ი. ლენინს სოციალისტურ საფუძველზე დაყრდნობილი შეჯიბრების ორგანიზაცია ხაზოგადოების რეორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძვლად მიაჩნდა. ლენინის თქმით, შეჯიბრება საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საშუალებაა, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალი საზოგადოებრივი ყოფილების გამარჯვების პირობაა.

ამავე დროს ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა, რომ შეჯიბრება ძირეულად განსხვავდებოდა კაპიტალისტური კონკურენციისაგან, რომელიც მასების გაჩანაგებას და გალატაკებას აჩქარებდა.

ვ. ი. ლენინი შეჯიბრების მთავარ ნიშნად თვლიდა მის მონაწილეთა შრომითს პაექრობას. ამიტომ იგი მოითხოვდა შეჯიბრების ფართო გაშლას.

„საჭიროა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ თითოეული „კომუნა“ — ყოველი ფაბრიკა, ყოველი ხოფელი, ყოველი ხამომხმარებლო საზოგადოება მოძარაგების ყოველი კომიტეტი — გამოვიდნენ და **შეეჯიბრონ** ერთმანეთს, როგორც შრომის და პროდუქტების აღრიცხვისა და კონტროლის პრაქტიკული ორგანიზატორები“.

ვ. ი. ლენინმა პირველად დაამუშავა შეჯიბრების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები. ხაჯაროობა, მისი შედეგების შესადარება, მიღწეული წარმატების პრაქტიკულად განმეორების უზრუნველყოფა, შეჯიბრების პროცესში მის მონაწილეთა ურთიერთდახმარება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა შეჯიბრების არსის გამოვლინებად, იმ ადამიანებს შორის ახალი ურთიერთობის დამყარებად, რომლებიც შრომითს საქმიანობას ეწევიან ისეთ საზოგადოებაში, სადაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებაა, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის.

ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა, რომ მომავალში სოციალიზმის მშენებლობის ისტორია მდიდარი იქნებოდა მასების ენთუზიაზმის მაგალითებით. ამიტომ იგი მოითხოვდა მუდმივ ყურადღებას ყოველი ახალი თოსინობისა და შეჯიბრების ფორმისადმი, გვასწავლიდა, რომ შეჯიბრების გაშლისათვის უდიდესი მნიშვნელობა მასების გამოცდილებას ჰქონდა, რადგან მხოლოდ პრაქტიკას, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შეუძლია გამომუშაოს საუკეთესო ფორმები წარმოების ამაღლებისათვის. იგი მოითხოვდა შეჯიბრების ორგანიზაცია დაგვესახა როგორც საზოგადოებრივი ამოცანა.

ხოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკამ საკვლევით გაამართლა ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულებანი. გაჩნდა შეჯიბრებისა და მასების თოსინობის ახალი ფორმები. შეჯიბრებამ განკლო განვითარების უდიდესი გზა. ცნობილია მისი სამი ძირითადი ფორმა: დამკვრელობა, სტახანოვური მოძრაობა და მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ობიექტური ხასიათი მოითხოვს, რომ მას სათავეში ედგეს კომუნისტური პარტია. პარტია აღმოაჩენს, სწავლობს, არჩევს წარმოშობილ მოწინავე ფორმებს და ხელს უწყობს მათს გავრცელებას. პარტია შეიმუშავებს ნოვატორების მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებებს. ეს ბასს ნიშნავს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და ხახეობანი სტიქიურად არ წარმოიშობა და არ ვითარდება.

სოციალისტური შეჯიბრება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა. მან უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ „კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთებით უკვე მშრომელთა რამდენიმე თაობა აღიზარდა, რომლებთათვისაც უცხოა ექსპლოატატორთა საზოგადოების ატმოსფერო“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

შეჯიბრების შესახებ ლენინურ დებულებებში ხაზგასმულია, რომ სრულად იქნეს გამოყენებული წარმოების ზრდის ხარისხობრივი ფაქტორები. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს ვ. ი. ლენინის მითითებები ორგანიზებულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დისციპლინის განმტკიცების, ახალ ტექნიკაზე გადასვლის დაჩქარების, შრომისა და მასალების დაზოგვის განუხრელი განხორციელებისათვის, ამას მოწმობს ის მრავალი თათსინობა, რომლებიც გაჩნდა შეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში.

ყველაზე მეტად ასეთი თათსინობანი წარმოიშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში. წინასაიუბილეო შეჯიბრების პროცესში მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს.

ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს საქართველოს მშრომელებმაც. ოთხი წელია რესპუბლიკა ზედიზედ იღებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული უდიდესი წარმატებისათვის. 1977 წელს რესპუბლიკამ ახალი წარმატებები მოიპოვა. ჯერ კიდევ ოქტომბერში რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 166 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და წლიური ვალდებულებს გადაეჭრობა. რეალიზებული იყო თითქმის 142 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაშლილი შეჯიბრების პროცესში ქუთაისსა და თბილისს პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით გავრცელდა თათსინობა, რომლის დევიზი იყო: ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმოები, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა ყოველთვიურად შეასრულოს საწარმოო გეგმები. ეს ინიციატივა იყო არსებითად განვითარება რუსთაველ მეტალურგთა თათსინობისა — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“ ამ თათსინობის შედეგი ის იყო, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა 10-ჯერ და უფრო მეტად შემცირდა იუბილეს წინ.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საიუბილეო წელს სოფლის მეურნეობის მუშაკებმაც. საკმარისია აღინიშნოს საქართველოს მეჩაიეთა წარმატება, რომლებმაც 410 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაბარეს სახელმწიფოს და ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება დაიმსახურეს, დიდი იყო აგრეთვე მევენახეთა და მეციტრუსეთა წარმატებანიც.

ახალ ეტაპზე შობილი იმ თათსინობების მიზანი, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა, ის არის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, წარმოების ტექნიკური დონე და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური შეჯიბრება თვისებრივად ახალ ნიშანთვისებებს იძენს. დღევანდელი შეჯიბრება, ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი, განუყოფელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისაგან. იგი სულ უფრო მეტად კონცენტრირდება ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემების გარშემო და მიზნად ისახავს საუკეთესო საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას. სოციალისტური შეჯიბრება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული შემხვედრ გეგმებთან, რომლებიც ასე ნათლად გამოხატავს მილიონთა ინიციატივას და გარჯას. შეჯიბრების პროცესში ჭლნდებიან არა მარტო მოწინავენი და გამარჯვებულნი, არამედ ჩამორჩენილნიც. ამით შეჯიბრება საშუალას გვაძლევს თავი მოვუყაროთ ძალებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და საბოლოო ანგარიშით, საერთო აღმავლობის დასაჩქარებლად.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში იზრდება სოციალისტური შეჯიბრების სოციალური და აღმზრდელობითი როლი. შეჯიბრების აღმზრდელობითი როლი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში. ამ მოძრაობის პრინციპებით მდიდრდება დღეს სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ამ მოძრაობაში მონაწილეობს. ეს ნიშნავს, რომ იგი იქცევა შეჯიბრების ძირითად ფორმად, ხოლო სოციალისტური შეჯიბრება მასობრივი მოძრაობიდან — მთელი ხალხის მოძრაობად.

სოციალისტური შეჯიბრების ბევრი ფუნქცია, რომლებზეც ვ. ი. ლენინი მხოლოდ მიუთითებდა, ახლა ხორციელდება. აშკარა ხდება მისი უდიდესი გავლენა სამეურნეო საქმიანობაზე, მთელი ხალხის ცხოვრებაზე. ამიტომ სოციალისტური შეჯიბრების როლს დიდი ყურადღება ეთმობა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში. ახლა უფრო მჭიდრო და მტკიცეა კავშირი სოციალისტური შეჯიბრების ეკონომიკურ, სოციალურ და აღმზრდელობითს ფუნქციებს შორის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა დაიწყეს მეათე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულება. ამ წელიწადს საიუბილეო წელმა დიდი ტრადიციები, დიდი ოპტიმიზმი გადმოსცა.

მეათე ხუთწლედის მესამე წლის მკაფიო ამოცანები დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი აიარაღებენ საბჭოთა ადამიანებს იმ ამოცანების ნათელი შეგნებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს.

„საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შეინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ, ასეოთ საღამისო ლოზუნგი. ხოლო უკეთ, — ეს ნიშნავს უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს არის სოციალისტური ვალდებულებების, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის სული და გული“.

პლენუმის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული მშრომელები მტკიცედ შეუდგნენ დასახული ამოცანების განხორციელებას. მათ გააჩაღეს ბრძოლა, რომ მესამე წლის გეგმები შესრულდეს 7 ოქტომბრისათვის — საბჭოთა კონსტიტუციის დღისათვის და ამით უზრუნველყოფილ იქნეს მთლიანად მეათე ხუთწლედის შესრულება, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ს. ჩხარტიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მტკიცედ ვიარეთ დასახული კურსით

ბოლო წლების მანძილზე საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საგრძნობი დადებითი ძვრები მოხდა. შესამჩნევად გაუმჯობესდა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები იმ ოთხსაძიებათა მთელი კომპლექსის შედეგად, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტკიცება და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, მეორე მხრივ კი ბრძოლა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ. საკმარისია ითქვას, რომ მთლიანი პროდუქციის ფაქტიური მოცულობა მთლიანად სამინისტროში შარშან 1976 წელთან შედარებით 8,3 პროცენტით გაიზარდა (გეგმით გათვალისწინებული იყო 5,2 პროცენტი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებისამებრ და მისი მხარდაჭერით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ რამდენადმე გააჯანმრთელა ადრეული შერჩევის, განწყობისა და აღზრდისათვის მუშაობა როგორც თავის ცენტრალურ აპარატში, ისე სამრეწველო გაერთიანებათა სამმართველოებსა და ცალკეულ ორგანიზაციებში.

ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ სამინისტროს ხელმძღვანელობამ იცის, კიდევ რამდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ მისი სისტემის საქმიანობა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს, ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და მომდევნო პარტიულმა პლენუმებმა დასახეს.

სამინისტროს ძირითადი ამოცანების შესახებ, რომლებიც ყოფილიყო ხანში ოდნავ გადაწყვეტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მითითებათა შესაბამისად, პრინციპული და საქმიანი ხვა-ბაასი გაიმართა მისი კოლეგიის სხდომაზე.

სხდომაზე აღმოსავლეთმა აღნიშნეს, რომ გაზრდილი საწარმოო გეგმების ყოფიერად შესრულებისათვის საჭიროა ისინი დაუფაავშირონ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების დახვეწა, შინაგანი რეზერვების და წარმოების ზრდის დამატებითი შესაძლებლობების ვამოძებნა და უნარიანი გამოყენება. ამავე დროს მათ ხანსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ არაფერით არ შეიძლება შენელდეს ბრძოლა ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, ილაპარაკეს იმაზე, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს პირველი წარმატებებით გამოწვეული გულარხეინობა.

კოლეგიის წევრებმა თვითკრიტიკულად აღნიშნეს, რომ სამინისტროს სისტემაში საკმაოდ ეფექტიანი არ არის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა. ფორმალიზმმა, საკმაოდ სრული და ობიექტური ინფორმაციის, ბანაზოგადებული დასკვნების, მუშაობაში საჯაროობის არარსებობამ გააბათილა დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და სამართალდარღვევათა ფაქტებზე რეაგირების კომისიის საქმიანობა. სამინისტროსა და სამრეწველო გაერთიანებებში პრაქტიკულად არ სწავლობენ პრობლემებს, რომლებიც სისტემის მუშაობში ირღვევა ერთმანეთისადმი ტენდენციათა ჩასახვის უკავშირდება. მათ წინააღმდეგ მიდალორავნებელი ბრძოლა. საქმისადმი გაუზრებელ მიდგომას შიშველი ადმინისტრირებითა და დიკტატორებით ცვლიან.

მკვეთრად შეანელეს მუშაობა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ და გაერთიანებათა შესაბამისმა სამსახურებმა. შემცირდა კომპლექსურ შემოწმებათა რიცხვი, ზიარელი ხასიათი აქვს რევიზიებს. ყოველივე ამით ისარგებლეს დამნაშავე ელემენტებმა მთელ რიგ საწარმოებში. საკონდიტრო ფაბრიკა „საამში“, „თბილთამბაქოში“, თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში შესაძლებელი გახდა მომხდარიყო ნეფლეულის განიავების ფაქტები.

კოლეგიის სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ აუცილებელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მითითებათა შესაბამისად, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს კადრებთან მუშაობა, რადგან ეს წარმოადგენს არა მარტო ეროვნული მეურნეობრიობის, არამედ, აგრეთვე სოციალისტური დისციპლინის განფრცელი დაკვეის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. სამინისტროში არ არსებობს კადრების შერჩევისა და დაწინაურების მწყობრი სისტემა, რის გამო გზა ხსნილი აქვს პროტექციონიზმსა და ნეპოტიზმამდეს. სპეციალისტების სწავლებასა და გადამზადებას პრიმიტიული ხასიათი აქვს. „საქართველოს ჩაის“ სასწავლო-საკურსო კომბინატის მუშაობა თვითდინებას მიპყვება და გაიკონტროლებელია. თვითდამშვიდების დასაბული ტენდენცია ქმნის საფრთხეს, რომ სერიოზულ ვალენსს მოაზღვევს დარგის სამეურნეო საქმიანობის პირველ დადებითს შედეგებზე, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გითარების მკვეთრი გაუმჯობესების იმ კურსს ანხორციელების დროს არის მიღწეული, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა.

კოლეგიის სხდომაზე შეიქმნა კომისია, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს მუშაობას საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სოციალისტური დისციპლინის მკვეთრი გაუმჯობესებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, ნეგატიურ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია მინისტრი რ. ჰ. ონაშვილი.

კომისიის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე. (საქინფორმი).

ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐ, ᲛᲝᲛᲖᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

გვიყვარდეს ჩვენი საქმე

„საქწიგნის“ გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

დიდი ოქტომბრის მე-60 ხაიუბილეო წელიწადი ძირეული გარდატეხის პერიოდი იყო წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნის“ სისტემის კოლექტივებს მუშაობაში. გაშალეს რა შეჯიბრება ხახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ვაჭრობის კულტურის გაუმჯობესებისა და მომხმარებელთა სანაშენო მომსახურებისათვის, „საქწიგნის“ კოლექტივებმა ვადაზე ადრე შეასრულეს 1977 წლის ხაქონელმრეწველო გეგმა და გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიაწოდეს მილიონ 614 ათასი წიგნის პროდუქცია.

ამ მაჩვენებლებით „საქწიგნის“ გაერთიანება მეორე ადგილზე გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგრამ „საქწიგნის“ მუშაკები მიღწეულს არ სკერდებიან. ახალ-ახალ რეზერვებს ეძებენ მომავალში მუშაობის ხარისხის, ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ნაკლოვანებები კი ჯერ კიდევ ბევრია მათს მუშაობაში. კვლავაც ხშირად შეხვდებით წიგნების გადანაწილისა და დახარჯვიშიდან გაყიდვის, თუსების დამახინჯების, ბაზაში მიღებული ცენტრალური გამოცემების, დეფიციტური წიგნების ნაკლები რაოდენობით წარდგენის ფაქტებს. დაბალია დახლის მუშაკთა კვალიფიკაცია, მომსახურების კულტურა, ადგილებზე ნაკლებად იბრძვიან მუშაკთა პასუხისმგებლობის და დისციპლინის განმტკიცებისათვის, სუსტად მუშაობენ საკონტროლო-სარევიზიო კომისიები...

საღეკისოდ აქტუალურ, გადასაჭრელ პრობლემებსა და საკითხებზე ისაუბრეს ახლახან წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანების „საქწიგნის“ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც პოლიგრაფისტთა კლუბში გაიმართა.

მოხსენება გააკეთა „საქწიგნის“ მმართველმა გ. გომართელმა. „კამათში მონაწილეობდნენ საქწიგნის საინფორმაციო-ანალიზური განყოფილების უფროსი, პარტბიუროს მდივანი ტ. გელენდანი, ოურიდიული განყოფილების უფროსი შ. დავითაშვილი, მთავარი ბუღალტერი ბ. შერეალია, თბილისის № 8 ზონალური გაერთიანების გამგეფილი ნ. ბაბუაშვილი, „საქწიგნის“ ქუთაისის განყოფილების გამგე გ. რუხაძე, „ოფსაზწიგნეკრების“ უფროსი ჭ. კალონია, სამხრეთ ოსეთის წიგნის ბაზის დირექტორი ს. ბიბილოვი, თბილისის № 6 ზონალური გაერთიანების დირექტორი შ. ბერიძე, „საქწიგნის“ რაიონული მაღაზიების გაერთიანების დირექტორი ბ. სულაია. პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიონის ბიროვანი ბ. აზიტოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მოშაკი ბ. მაჭავარიანი, ქ. თბილისის საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. მიქელაძე.

გვიყვარდეს ჩვენი საქმე, ბოლო მოვუღოთ დამნაშავეობასა და სამართალდარღვევებს მომსახურების ხფეროში, განუხრელად შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმების გადაწყვეტილებები — ამ დევიზით ჩაიარა „საქწიგნის“ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ.

შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიცხა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჩიკვაძემ.

რ. ჰელიძე.

ᲡᲐᲥᲠᲔᲡᲘ

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს



ქენევის მოლაპარაკების გამო

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. (საკდესი). აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, **რომ განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე.** დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი. მან პრესასთვის გააკეთა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჟენევაში ჩამოვიდა ხანმოკლე სამუშაო შესვენების შემდეგ, რომ განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების მიზნით. როგორც ამის წინათ ამის შესახებ ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, არც თუ ისე ცუდი შესაძლებლობანი გვაქვს, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დავავგვირგვინოთ.

სსრ კავშირის დელეგაციას დავალებული აქვს განაგრძოს მუშაობა საქმიანი და კონსტრუქციული სულისკვეთებით შეგროვებული პროექტების დარჩენილი დებულებების შეთანხმებისათვის, ამასთან ზუსტად და თანმიმდევრულად იხელმძღვანელოს თანასწორობისა და ერთიანი უშიშროების შეთანხმებული პრინციპით. ურთიერთმოქმედებით დელეგაციები შეძლებენ მიიღწიონ წარმატებას ამ გზაზე“.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. შარშან სსრ კავშირის გზებზე „ტატრის“ მარკის სხვადასხვა მოდიფიკაციის ორი ათასამდე სატვირთო ავტომანქანა გამოჩნდა, რომლებსაც კოპრშივნიცის ავტოქარხანა უშვებს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ 15 ტონა ტვირთამწეობის ავტომანქანებს „ტატრა-არქტიკს“. ისინი მინუს 50-60 გრადუსი ჰაერის ტემპერატურის პირობებშიც კი ჩინებულად მუშაობენ:

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: (ზემოთ): მოწინავე ამწყობი ელიზავეტა ზელიანოვა აწყობს „ტატრა-არქტიკის“ ჯიხურს.

ᲩᲔᲩ-ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ. რუმინელი მანქანათმშენებლები სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთ კოლეგებთან საბჭოთა კავშირიდან და სხვა მოკმე სოციალისტური ქვეყნებიდან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ტურბინის როტორის აწყობა ბუქარესტის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის საამქროში.

ᲐᲯᲔᲠ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲯᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲔᲡᲠᲘᲓᲐᲜ

მოკლედ

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲣᲚᲐ

● **ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ.** დუბლინის სატელეფონო სადგურების მუშაკთა გაფიცვის შედეგად თითქმის მთლიანად შეწყდა სატელეფონო კავშირი ირლანდიის დედაქალაქს ბევრ რაიონში. გაფიცულნი მოითხოვენ დათხოვნილი ამხანაგების სამუშაოზე აღდგენასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲚᲔᲑᲐ

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** კენედის სახელობის აეროპორტიდან აფრენიდან ორი საათის შემდეგ ინგლისა-საფრანგეთის წარმოების ზებგერითი სამგზავრო ლაინერი „კონკორდი“ იძულებული გახდა ნიუიორკში დაბრუნებულიყო. ფრენის შეწყვეტის მიზეზი გახდა ზეთის გადინება თვითმფრინავის ერთ-ერთ ძრავაში, რომელიც გამორთეს უწესივრობის აღმოჩენის შემდეგ.

ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ

● **ᲢᲠᲘᲙᲘᲚᲝ.** სრულიად არაბეთის ნავთობისა და ნავთობქიმიური დარგების მუშათა ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ არაბული სახელმწიფოების ტერიტორიაზე ეგვიპტის სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების საწვავით გაწყობას, ნათქვამია აღმასკომის სესიის აქ გამ

წერილები რედაქციას

დღეს მკითხველი

გვიამბობს: ვეტერანი კოლმეურნის შრომა დაფასდა.
აყენებს საკითხს: მესტიას სჭირდება რძის კროდუქტების მიმღები პუნქტი.
გვაცნობს: ჩვენს გვერდით საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ.

ჩვენი საredაქციო ფოსტა

1977 წელს „კომუნისტის“ რედაქციამ მკითხველთა 49.010 წერილი, კორესპონდენცია, სიგნალი მიიღო.

სულ ათიოდე დღეა გავისტუმრეთ შარშანდელი წელი. იგი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა და თან მრავალი სასახელო საქმე მოითვალა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების სახელოვანი წელი მნიშვნელოვან თარიღად დარჩა ისტორიაში.

მილიონობით საბჭოთა ადამიანთან ერთად საქართველოს მშრომელებიც მეათე ხუთწლედის მეორე წელს დამკვრელური შრომის ვახტზე იდგნენ და წარმატებები მოიპოვეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დიდ მიზანდასახულობათა თანმიმდევრული განხორციელებიც. გზით სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ქვეყნის ეს პოლიტიკური მოვლენები, ამავე დროს ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ჩვენი დიადი აღმშენებლობების ყოველ უბანზე გაჩაღებული შემოქმედებითი შრომა ისახა კორესპონდენციებში, მუშკორებისა და სოფლკორების წერილებში, პრაქტიკოსთა და მეცნიერთა წინადადებებში. ისინი გვწერდნენ მოღწეულებზე და მუშაობაზე ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე, პირად თუ საზოგადოებრივ გასაჭირზე. გულახდილად გვანდობდნენ თავიანთ ფიქრებსა და მოსაზრებებს.

მარტო ის ფაქტი, რომ შარშან გაზეთ „კომუნისტს“ რედაქციამ ათეულ ათასობით წერილი მიიღო, მოწმობს რესპუბლიკის მშრომელების მაღალ მოქალაქეობრივ აქტივობას. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის განხილვამ ჩვენს რესპუბლიკაშიც საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო და მარტო „კომუნისტის“ რედაქციაში ამ თემაზე 8.786 წერილი შემოვიდა.

გასული წლის 1 იანვრიდან გაზეთი „კომუნისტი“ იბეჭდებოდა 636.600 ეგზემპლარი, ახალი 1978 წლიდან კი — 655.900 ეგზემპლარი.

გაზეთმა ამასწინათ სთხოვა თავის მკითხველებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ მათთვის მოწყობილ დაუსწრებელ თათბირ-კონფერენციის მუშაობაში. რედაქციამ უკვე მრავალი წერილი მიიღო. გაზეთის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გვთავაზობენ საკუთარ წინადადებებს, ახალ რუბრიკებს, საინტერესო თემებს.

ახლახან გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ოთარ ლომძოს წერილი „მხოლოდ დისციპლინით, ორგანიზებულობით“.

ამ წერილით იგი გამოხმაურა ამასწინათ ჩატარებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმს, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელებს უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა.

იმედია, ჩვენი მკითხველი ჩვეული აქტივობით მოგვაწვდის წერილებს ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე და დახმარებას გაგვიწევს იმ ამოცანების განხორციელებაში, როგორიც ჩვენი გაზეთის წინაშე დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში და გაზეთ „პრავდის“ გასული წლის 14 ნოემბრის სტატიაში — „გარდაქმნების პრიზმაში“.

გმადლობთ, ვეტერანებო!

მეზობლები

დილაა. ყველას სადღაც მიეჩქარება. მუშა-მოსამსახურეებს — სამუშაოზე, სტუდენტებსა და მოსწავლეებს — სასწავლებლებში. გადატვირთულია ქალაქის ქუჩები, ტრანსპორტი. ისმის ყრიალი, შეძახილები. და ისინიც, ორი მეზობელი, დინჯად გამოდიან სახლებიდან, გაუყვებიან ლენინის პროსპექტს...

ჯარა ხანია ბებინა ყანჩაველი და შოთა მიქაბერიძე პენსიაზე გავიდნენ, მაგრამ უქმად კი არ სხედან! აი, ახლა ბებინას კომკავშირის საქალაქო კომიტეტში მიეჩქარება — ვეტერან კომკავშირელთა შეკრებაა დანიშნული. მერე ახალგაზრდებს უნდა შეხვდეს, საღამოს მოსხენება აქვს წასაკითხი.

ქუთაისში ყველა იცნობს შოთა მიქაბერიძესა და ბებინა ყანჩაველს. მათ თითქმის ერთდროულად, 30-იან წლებში დაიწყეს შრომითი საქმიანობა. როგორც სანიმუშო კომკავშირელ აქტივისტებს, მათ ხშირად გზავნიდნენ იმშენებლობითი საქმიანობის სხვადასხვა უბანზე, სამუშაოს მოუწყვიტელივ მიიღეს განათლება. დიდმა სამამულო ომმა შოთა მიქაბერიძეს ლითოფონი ის ქარხანაში მოუსწრო, ბებინა ყანჩაველი კი ამ დროს კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი იყო. ორივემ უმალ ფრონტს მიაშურა. შოთა მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა. ორჯერ მძიმედ დაიჭრა და მაინც წინა ხაზს დაუბრუნდა. მესამედ ვეღარ შეძლო — მარჯვენა დაკარგა.

უფროსი ლეიტენანტი ბებინა ყანჩაველი ჯერ სტალინგრადისთვის იბრძოდა. იგი მონაწილეობდა იმ ისტორიიულ ოპერაციაში, 1943 წლის დასაწყისში რომ ჩატარდა ფელდმარშალ პაულუსის დასაყვანებლად. გერმანიაშიც იბრძოდა, ბოლოს შორეულ აღმოსავლეთში ულტიმატუმ იაპონელ სამურაებს.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შოთა მიქაბერიძემ ლითოფონის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. იქ პარტიორიოს მდივნად აირჩიეს. ბებინა რომ დაბრუნდა, მეგობრის წინადადებით, მანაც ქარხანაში მიაშურა. მერე ისევ პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს, შემდეგ კი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მოღვაწეობდა.

რა მალი გავიდა წლები! პენსიაზე გასვლის დროც მოახლოვდა. ვალმოხდილი ადამიანებისთვის დამსახურებული დასვენება ნამდვილად ალალია. მაგრამ საქმე არ ილევა. აბა, საქმეს რა გამოელევა? ორი მეგობარი, მეზობელი, პერსონალური პენსიონერები ახლა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში არიან ჩაბმული.

ლ. მასხარაშვილი.
დიახალხი.

• • •

სურათზე: ბებინა ყანჩაველი და შოთა მიქაბერიძე.

ბ. მაღლაფერიძის ფოტო.

კეთილი სიტყვა კეთილ ადამიანებზე

გმადლობთ ამ სიმფვიდისათვის...

ყოველ წელიწადს, აგვისტოს ბოლოს თბილისის ვაგზლის ბაქანს ჩვენი ქარხნის თანამშრომლები ავსებენ. ჩვენი ქარხანა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელია. ამ დღის კი ჩვენს პატარებს ველოდებით — საგაზაფხულოდ გაყვანილ სპორტულ ბაღის აღსაზრდელებს. ჩვენ-დება მატარებელი და გაისმის მხიარული შეძახილები, ბედნიერი სიცილი, მშობლები გულში იკრავენ მსით დაბრუნებულ ჯანსაღ ბავშვებს.

სულ ბოლოს კი ვიგონიდან ის გადმოდის — ჩვენი ძვირფასი გალინა მასწავლებელი — როგორც ყველანი მას ვეძახით, ჩვენი № 48 საბავშვო ბაღის უცვლელი გამგე, აგერ თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე — გალინა საფუარელიძე.

ბაქანზე დამხვდურთა შორის ბევრი მისი აღზრდილიც ვართ. ახლა იგი ჩვენს შვილებს ზრდის და მალე ზოგიერთი შვილიშვილსაც მიუყვანს, მაგრამ, ნეტავ იცოდეთ, რა ენერგიით, რა თავდადებით ასრულებს ის თავის მოვალეობას. როგორ თავზე ვვლება თითოეულ ბავშვს, როგორ შფოთავს, თუ რაიმე თვალში არ მოსდის. აი, ვთქვათ, საკვარაოდ გაყვანილი ბავშვი წონაში არ იმატებს (ბავშვებს ხომ ყოველ დილით წონიან). მაშინ გამგე მას დამატებით კვებას უნიშნავს და ყოველ ჯერზე თავზე ადგას — აბა, მოდი და ნუ შეჭამ!

და ჩვენ. ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, გულარხეინად ვართ, როდესაც ჩვენს თვალსაჩინის გალინა საყვარელიძეს ვაბარებთ. რადგან ვიცით, რომ ის და მისი ყოჩაღი, შეხმატკბილებული კოლექტივი ბავშვს გულის სითბოს და მზრუნველობას არ მოაკლებენ.

ამ სიმშვიდისათვის, ამ დიდი იმედისათვის გმადლობთ, ძვირფასო გალინა მასწავლებელო.

ნ. ჟიკაიკინი, ს. სარალიძე, ი. აკოფოვა, ზ. გაგრილოვიჩი, ს. მიშაოვა, და სხვ.
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მშრომელები.

ჩვენც ხალისს გვმატებენ

ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობის მიუხედავად, ენერგია და ხალისი არ დაუკარგავს მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენის კავალერს ივანე მჭიოლაშვილს. ხანდაზმული, ყოვარგნიანი კაცი, რომელიც სულ ახლახან გავიდა პენსიაში, თბილისს პირველი მაისის რაიონის № 31 სახლმმართველობის პარტბიუროს წევრი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავჯდომარის მოადგილე, წითელ ალამაძიებელთა საკავშირო ლაშქრობის აქტიური მონაწილეა, რისთვისაც ჯილდოდ ჯერ მარშალ ი. კონევის, შემდეგ მარშალ ი. ბაგრამიანის ხელმოწერილი დიპლომები აქვს. პრესის ფურცლებზე ხომ უკვე ნახვიარი საუკეთესო ხშირად ვხედავთ მუშკორის ვეარს. „სიცოცხლე ჯერ შრომა და ბრძოლაა, სხვისგვარი პიროცხლე ჯერ წარმომდგენია“, — ამბობს პენსიონერი და იგი მართლაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

ასეთი ენერგიანი ადამიანები ჩვენც, მის მეგობრებსა და მეზობლებს, თანამებრძოლებს ხალისსა და ენერგიას გვმატებენ. ამიტომ გვინდა პრესის საშუალებითაც მადლობა გადოთ ამ ადამიანებს.

გ. იაროვი,
გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, პენსიონერი.

ჩემი გულის საწადელი

მამაჩემი — სამსონ გოგლიჩიძე თურმე ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობდა ობერ-კონდუქტორად. მე ის არ მახსოვს, რადგან პატარა ყოფილვარ. როცა გარდაიცვალა. ოჯახში მისი სურათი არ გვქონდა, გულით კი მეწადა მისი სახის ნახვა. გადაეწყვიტე, ამიერკავკასიის რკინიგზის არქივისათვის მიმეწერა, მეთხოვნა, მამაჩემის შესახებ რაიმე მოეწოდებინათ. მართლაც მიეწერე. პასუხმა არ დაიგვიანა. ამ კეთილმა ხალხმა მამის სურათიც გამოგზავნა და მისი დაბადების თარიღიც დამიდგინა.

ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გამოვიცხადო ამიერკავკასიის რკინიგზის არქივის სიქტორის ოფიციოს მ. შაქარაშვილს და მის თანამშრომლებს ჩემი გულის საწადელის ასრულებისათვის.

ზ. გოგლიჩიძე.
ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მცხოვრები.

გული გაგვითბეს

რავდენიმე ხნის წინათ გაგრაში, სანატორიუმ „კავკასიონში“ ვისვენებდით და ვმკურნალობდით ორი მუშაკი—ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთიდან ჩამოსული ადამიანები. და უნდა გითხრათ, ძვირფასო რედაქციავ, რომ ჩვენ მარტო ზღვისპირეთის მზემ კი არა, ამ სანატორიუმის შესანიშნავმა კოლექტივმა გაგვითბო გული

უდიდესი გულისხმიერებისათვის, თავისი საქმის ცოდნისათვის და კარგი ადამიანობისათვის, ვთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენი მადლობა გადასცეთ ჩინებულ მკურნალებს, ექიმებს: ტარიელ ესპერთას, ნინო ეიორგაძეს, თემურ ბარკალაიას, ექთან გულნარა ფიფიას, რომლებმაც გამოჯანმრთელებული, მხნეობით სავსენი გამოგვიტანეს. კეთილი საქმე ნუ დალეოდეთ ამ შესანიშნავ ადამიანებს.

პ. რიბოვი, ბ. რემერი,
ტიუმენის ოლქი, ქ. ნიუნეკატორსკი.

მოჰირნახულე კაცის თვალით

1. დრო არ იცდის!

ვესტია, საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონი, საგრძნობლად შეიცვალა უკანასკნელი წლების მანძილზე. ეს გარდაქმნები მის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თითქმის ყველა უბანს შეეხო. დიდი მშენებლობის ხარაჩოები ახლაც ყველგან არის აღმართული. მაღლობის მეტი ამაზე რა გვეთქმის, მაგრამ დასაკეთებელი და მოსაგვარებელი ჯერაც ბევრია, რომ ამ მაღალმთიანი დასახლების მცხოვრებთა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონე კიდევ უფრო ამაღლდეს.

ამ სამიოდე წლის წინათ რაიონის ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალობაში შეიდნენ. სამინისტროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განაზორციელა კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ზრდისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამის შედეგად, სამთო მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა ერთიორად და მეტად გაიზარდა, გადიდდა ხორცისა და რძის წარმოება. მაგრამ რა — მეურნეობებს უჭირთ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის პროდუქტების ჩაბარება, და, ი, რატომ:

პირუტყვი მთის სოფლიდან ზეგდიდში, დამზადების პუნქტში ავტომანქანებით უნდა ჩაიყვანონ. ერთ მანქანაში ოთხიოხუთი სულის მეტი არ ეტევა. წარმოვიდგინოთ, რამდენი მანქანა იქნება საჭირო პირუტყვის გადასაყვანად. გარდა ამისა, მთაში ნასუქი პირუტყვი გზაში ილახება, წონას კარგავს.

ყველაფერი ეს დიდ სიძნელეებთან და დანაკარგებთან არის დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ იზრუნოს მესტიაში ხორცის შესანახი მრავალტონიანი მაცივრის უახლოეს დროში აშენებისათვის. ეს პრობლემის რადიკალური გადაწყვეტა იქნებოდა: მაცივრიდან ხორცის გაზიდვა და ტრანსპორტირება გაცილებით მოხერხებული იქნება.

ასევე აუცილებელია რაიონს ჰქონდეს ყველ-კარაქის ქარხანა. მესტიაში გვაქვს რძისა და ყველის მომღები პუნქტი, რომელიც ზეგდიდის ყველ-კარაქის მთავარ ქარხანას ეკუთვნის, მაგრამ ეს პუნქტი დაქონაგებულ, შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა აქ შეუძლებელია.

ზეგდიდის ყველ-კარაქის მთავარმა ქარხანამ ჩვენი პუნქტი ვერ უზრუნველყო ყველის შესანახი ჭურჭლით, ამიტომ ყველი იატაკზე იყრება და ხარისხს კარგავს. პუნქტი ხშირად ქვამარილის ნაკლებობას განიცდის, ახალ-ახალი მარილწყლის დაყენება არ ხერხდება და პუნქტის მუშაკები ხშირად იძულებული არიან ყველი ძველ მარილწყალში ჩაწყონ, რაც ცუდადა, კიდევ უფრო აქვეითებს მის ხარისხს.

ახალი ხუთწლედი მესტიის რაიონში სამთო მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის 5-10-ჯერ გაზრდის პერსპექტივის სახავს. ეს კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო დროულად დაეგემაგს მესტიაში ყველ-კარაქის ქარხნის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტიპობრივი პროექტით აგებული რძისა და ყველის მომღები პუნქტის მშენებლობას.

ვ. სალღიანი,
მესტიის რაიონული გაზეთის „ახალი ხვანეთის“ რედაქტორი.

2. გაკეთდეს ბუნების ნაგოძეგს

საკავშირო ცნობილ ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე ჩრდილოეთით, ლენინგრად-სევასტოპოლის გზის მესამე კილომეტრზე თავუკოცომ ღილის უბანში, სადაც მდინარე თავუკოცომ ღილ-კლდეში ვარდება, ორის ორი ქარსტული გამოქვაბული. ერთი ბილიკის ზემოთ, მეორე კი ქვემოთ — ხეებში. ეს უკანასკნელი წყალმა თითქმის ამოვავსო, ზემოთა გამოქვაბული კი იყო და დარჩა ულამაზეს სანახაობად. შესასვლელი 5-10 გრადუსით დაქანებულ კლდეზეა, რომელიც მაღალი ხეებითა და მარადმწვანე მცენარეებით არის დამშვენებული.

გამოქვაბულში სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების ქონგურებით მოქარგული ფართო დარბაზებია. ბაჯვობა ამ ადგილებში გიტარე და მისი სიყვარული ესენი ლაზა და გულში მაქვს გამჯდარი, ამაზე ლამაზს თვალი ვერაფერს ნახავს.

მოამზადა ფინადლიგა

მუუთმენლად ველით

მკითხველები დიდად გაგვახარა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა წერილმა „სოფელი ელოდება... ტრაქტორს“.

წერილში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის მეირეგებარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში შექმნეს სამი სხვადასხვა სახეობის მეირეგებარიტიანი ტრაქტორების ნიმუშები, რომელთაგან ერთი უკვე გამოცდას გადის კახეთში.

ასეთი ტრაქტორის მიღება შრომას გაგვიადვილებს. ჯერ ერთი, მიწის დამუშავებაში, მეორე, და რაც მთავარია, ვენახის წამლობაში.

აღნიშნული ტრაქტორის შეძენის სურვილი აქვთ არა მარტო საზოგადოებრივ მეურნეობებს, არამედ საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელთაც, რომლებიც უბნების მიხედვით შეკამხანაგდებით და კოლექტიურად შეიძენენ მას.

ერთი სიტყვით, მოუთმენლად ველოდებით ქუთაისურ ტრაქტორს.

მეგვინახეთა ყურადღება მიიქცია აგრეთვე გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულმა მასალამ ვენახის ახალი საწამლი აპარატის შესახებ. გაზეთი იტყობინებოდა, ჩვეულებრივზე 6 კილოგრამით მსუბუქმა აპარატმა კარგი შედეგი გვიჩვენა და მალე დაიწყება მისი სეროული გამოშვებაო. წელიწადზე მეტია გასული და აღნიშნული აპარატის შესახებ აღარაფერი ისმის.

ახლა ცოტა რამ წვრილმანებზეც. ამას წინათ ერთ-ერთ სამეურნეო მაღაზიაში ვნახე სეკატორი (მაკრატელი), ჩვეულებრივ ვაზის სასხლავზე პატარა ზომისა და ორივე პირწაწვეტებული. გამყიდველმა განმმარტა, სუბტროპიკული კულტურებისთვის არის გათვალისწინებული, მაგრამ მე ყურძნის საკრეფადაც კარგად გამოვიყენე, ძალზე მარჯვე გამოდგა. ხელის გაჭრისაც არ შეშინია, რაც დანით მუშაობის დროს ხდება. ამ მაკრატელს ბევრ სიკეთესთან ერთად ერთი ნაკლი აღმოაჩნდა, სუსტი ტარი აქვს. პირებს და ტარს ერთი მილიმეტრი სისქე რომ მიემატოს, ყურძნის საკრეფად მშვენიერი იქნებოდა და დიდად გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

რთველში ზოგჯერ ტარის უკმარობის გამო ყურძენს მიწაზე ასვავებენ და იქიდან ხელით ყრიან მანქანის ძარაში. ცხადია, ეს ჯერ ერთი, ჰიგიენური არ არის და, მეორეც, მოსავალი იკარგება, დაჭყლეტილი ყურძნისგან ხარისხიანი ღვინო ვერ დადგება.

პლასტმასის ქარხნები მევენახეებს დიდად დაგვეხმარებოდნენ, 40-60 კილოგრამამდე ტევადობის მსუბუქ ბუუტელსა და ჩვეულებრივ 16-12 კილოგრამიან ვედროებს რომ გამოუშვებდნენ. ამით თავიდან აგვაცილებდნენ აურაცხელი ჯოდრების დაწვნას, რომელიც დიდ დროს არომევს მევენახეს და ამავე დროს შეადგინს მიცემდით ტყეს, რომელიც ჩვენი დაუდევრობითა და გულგრილობით ისედაც ჩანაგდება.

შ. ხოსროშვილი,
პენსიონერი, აგრონომი.

ჩვენი თანამემამულე

სერჟანტი ლევან პაპიძე

„დროულად შეგასრულეთ“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა სტატია საქალაქო გაზეთ „ოლქსკაია პრავდას“ 2 სექტემბრის ნომერში. მასში საუბარი იყო ომაზე, რომ საწარმოო გაერთიანება „მშენდუსტრიის“ კოლექტივმა მხარი დაუჭირა ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშათა წამოწყებას — „100 დამკვრელური ვახტი — დიად ოქტომბერს“ და საკუთარი ვალდებულება წარმატებით შეასრულა. მარტო აგვისტოში ვოლგოდონსკის მანქანათსაშენებელი გიგანტისათვის გაიგზავნა 700 კუბურ მეტრზე მეტი პანელი. დავალება დროზე შესრულდა, გამოშვებული პროდუქცია საკავშირო ხარისხისა იყო.

ეს წერილი ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა, მშენებელმა სერჟანტმა ლევან პაპიძემ დაწერა. მერძოლი უბრალო მეთვალყურეკი არ არის, არამედ უკვე წელიწადზე მეტია თვით დგას მშენებლობის მოწინავეთა რიგებში, მუშაობს „მშენდუსტრიის“ მეთაური ქარხნის ღია პოლიგონზე, რომელიც ყველაზე შრომატევადი უბანია.

ბრიგადა, რომელშიც ლევან პაპიძე მუშაობს, დავალებას ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს.

ლევან პაპიძე არმიაში მზიური საქართველოდან მოვიდა. სიჩხერის რაიონის სოფელ ჯალოურთაში დაიბადა იგი. 1973 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ მაღაროელი გახდა. მუშაობა დაიწყო ჭიათურაში, „ახალი ითხვისის“ მაღაროში. დაეუფლა მაღაროელის რთულ პროფესიას და შემდეგ შრომისმოყვარე, ახლა უკვე მოწინავე მუშა, სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

შავებელი აგრეგატები მიუმატეს, კლდე და გამოქვაბულის შესასვლელი დაანგრიეს, ტყე მოჭრეს, ერთი თუ ერთნახევარი კილომეტრის რადიუსზე ბუნება გაიჩანგაგეს. ადგილობრივ მრეწველობას არ უნდა შეეწიროს ლამაზი ლანდშაფტები, გამოქვაბულები და მით უმეტეს ტყე.

ახლა, როცა ისტორიისა და კულტურის ძეგლებს კანონი იცავს, მეტი პასუხი უნდა მოეთხოვოთ ბუნების გამჩანაგებლებს.

ა. ფირცხალავა,
ინჟინერ-კონსტრუქტორი.

მეწვევა სტრიქონები

მართლაც სანიმუშო...

დიდი ხანი არ არის, რაც ლარა ციტკინის ჭიჩა გაყვეს — ლეწი ნომრების სახლები პირველი მაისის რაიონს მიეკუთვნა, კენტი ნომრებისა კი ოქტომბრისას.

ჰოდა, ახლა ამ ჭიჩაზე ორი რაიონის დასუფთავების მანქანა დადის, ორი ზარი ირეკება...

ასეთი პატივი განა ბევრ ჭიჩას ეირსებოდა?

ჩვენც პირველ ხანებში გვიხაროდა, გვიგონა, ეს სიკეთეს მოგვიტანდა — ლარა ციტკინის ჭიჩა სისუფთავის მხრივ სანიმუშო გახდებოდა. მაგრამ...

მოდი და გაარჩიე, რომელი რაიონის დასუფთავების მანქანის ზარი ირეკება...

ზარის ხმას გაიგებ თუ არა, თანჯარას მივარდები (თუ თანჯარა ჭიჩის მხარეზე გაქვს) და თუ დაინახე მანქანა, ჰო, ყარგი, თუ ვერა და... ალაბეგიდზე ჩატანილი ნაგვის გადაყრის სრული იმედი ნუ გექნება. როგორც უნდა ითხოვო და ემუდარო, სხვა რაიონის დასუფთავების მანქანა მაინც არ წაიღებს... რას ერჩი? მათაც აქვთ თავიანთი წესები და კანონები. სხვისი ნაგავი რატომ უნდა ზიდონ!

ასე რომ, ხშირად იძულებული ხდები ზედა სართულიდან გელის ხეთქით ჩატანილი საჭმლის ნარჩენები ისევ გელის ხეთქით, დაწბილებულმა და შეურცხყოფილმა, უკან აიტანო. ზოგჯერ კი ისიც ხდება, რომ მთელი კვირის განმავლობაში მას ბაბაჯანას ქოშინით თავიდან ვერ მოიცილებ...

რა ქნას მოსამსახურე, დიასახლისმა? მთელი დღე როგორ უდარაჯოს თავისი რაიონის დასუფთავების მანქანას, როდისაც არც მისი ჩამოვლის გარკვეული დრო იცის და არც ზარის ხმის გარჩევა შეუძლია?

რა ქნას და... მოხერხებული დიასახლისი ნაგვის თავიდან მოშორების ახალ მეთოდს ეძებს: საჭმლის ნარჩენებს ქაღალდში ფუთავს და ვიან ლამით ან დილადილიან ჩუმად, ისე, რომ არავინ შეამჩნიოს, თავისი სახლის წინ, ხის ძირში დებს... ერთს მეორე ბაძავს, მეორეს მესამე და ასე, ერთმანეთის მიბაძვით ყოველ ათ-ოც მეტრში ნაგვის „ბორცები“ დგება... მერე საიდანღაც ძაღლები გამოიკუზტკუნტდებიან (მე შენ გიტყვი და ჩვენს ქუჩაზე ცოტა ძაღლებია!), დაესხვიან ნაგვის ბორცს და რას დაგიდგენენ, რომელი რაიონისაა, გაქექავენ, გადანტვენენ, ერთმანეთში აურევენ... მერე თუ ქარმაც დაუქროლა...

ასე და ამგვარად, ღრი ძიძის ხელში ჩავარდნილი კლარა ციტკინის ჭიჩა მართლა სანიმუშო გახდა, ოღონდ ანტისანიტარიის მხრივ...

ლ. კალანდაძე,
დიახალხი.

თბილისი.

ფელეტონი

ესათაურო...

ქაცი ვარ და ხელფასი
მაქვს,
არ ვარ ბედის უმადური.
ავდექი და შევიძინე
თბილისური სამაჯური.
ცხრა მანეთი გადვიხადე —
ცვლანახევრის ხაზღაური,
ვთქვი: — თუ ძვირობს,
ყარგ იქნება,
რას მიქვია საფასური!
ოქროსფერმა სამაჯურმა,
„ლეწი“ მართლაც
დაამშვენა,
მაგრამ დახეთ! სამ კვირაში
ფერი გადაისხვაფერა.
ოქროსფერი იქცა თეთრად,
მერე წითლად, მერე შავად.
ჩემს მაჯაზეც ეს ფერები
იწერება ჭაი-ჭარად.
იწერება არა მელნით,
არა პასტით, არა ტუშით —
სამაჯურით თბილისურით,
სუპერ-„პერელიავიუშჩით“.
შევიხსენი, სახლში მიდევს
ცხრა მანეთის საფასური,
მკითხველს ვანდობ ამ
ფელეტონს
მოუძებნოს სათაური.

ო. ტონია,
თბილისის მეტროპოლიტენის ბლოკსაგუშაგოს მორიგე.

„კომუნისტის“ კონტროლფოსტა

მფრთმელთა საგივარი

1976 წლის აგვისტოში თბილისში, ს. ჩიქოვანისა და ბალანჩივაძის ქუჩების შესაყართან დამთავრდა ჩვიდმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობა მიმზიდველად შერწყმია თბილისის ლანდშაფტს, მისი სილამაზე მოკეთეს გულს გაუთბარებს, მაგრამ შიგნითაც შევიხედოთ... ამ სახლის ბინებიდან ერთს უკვე მეორე წელია ვითბობა არა აქვთ. რა უნდა ვიფიქროთ? რაკი სახლი ექსპლუატაციაშია, ალბათ, ადამიანის საცხოვრებელ ადგილებზე ამ ტანობაზეც აწყობენ ექსპერიმენტს.

ბალანჩივაძის ქუჩის 39-ე კორპუსის მცხოვრებლებმა რედაქციას მომართეს დახმარებისათვის. წერილი ზომების მისაღებად თბილისის საქალაქო საბჭოს გადაეგზავნა. მიეღოთ პასუხიც (მას ხელს აწერს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი გ. ჩიქვანიძე), სადაც გარკვეული წერია, რომ „ბინის ნორმალური გათბობა პროექტით გათვალისწინებულმა ქსელმა ვერ უზრუნველყო. კაპიტალური შენებლობის სამმართველოს მიერ მიღებული ზომების შედეგად დაპროექტებულ იქნა საბოილერო, რომელიც მშენებლობაშია და ექსპლოატაციაში ჩაბარდება ამა წლის 20 დეკემბრამდე, რის შემდეგ კორპუსი უზრუნველყოფილი იქნება ნორმალური გათბობით“.

ეს დაპირება არ გამართლდა, თუმცა 20 დეკემბრის შემდეგ სამ კვირაზე მეტი გავიდა. რედაქციამ კვლავ მიიღო საჩივარი, რომელსაც ორმოცდაათ მცხოვრებზე მეტი აწერს ხელს. გვატყობინებენ, რომ გათბობა ისევ არ არის, არა აქვთ ცხელი წყალი, მისასვლელი გზა, ეზო გაუნათებელია და სხვა...

ჩვენმა კორესპონდენტმა ლ. ქინქლაძემ ფაქტები ადგილზე შეამოწმა. საქმიანი კამეტილი დახვდა, მილები საცოდავად ეყარა თხრილში, ატალახებული გზაზე სიარული ჭირდა, საღამოობით ლიფტები არ მუშაობდა, მკვიდრებები ერთად შეგროვილიყვნენ და მთასვლელებივით ეშზადებოდნენ შინობის მეჩვიდმეტე „მწვერვალის“ დასაპყრობად. მობინადრეებმა ბევრი სხვა სამდურავიც გამოთქვეს...

რედაქცია ელის, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ბოლოსდაბოლოს, იღონებს რამეს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ამ სახლის მცხოვრებლებს ამდენი ხანია აწუხებთ.

ზამთრის კონტრასტები





წელს აფხაზეთში პირველული ზამთარია. თბილ, მზიან დღეებს ცვლის წვიმიანი დღეები, მთიან რაიონებში კი თოვლი მოდის.

მზეც და თოვლიც

ეს სურათები ერთ დღეს არის გადაღებული აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სხვადასხვა კლიმატურ ზონაში. საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ვ. სოკოლოვმა აღბეჭდა მზის ჩასვლა საქართველოს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კურორტში — გაგრაში და ტურისტები რიწის მაღალმთიან ტბაზე, რომელიც ზამთარშიც საოცრად ლამაზია.

მექსიკის სახე

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილია მექსიკის ხელოვნება, სულიერი საუნჯე მექსიკელი ხალხისა, მისი ისტორია და სახე, ისტორია — ხანგრძლივი და უმდიდრესი, სახე — მეტად თავისებური, ერთბაშად ძნელად ამოსაცნობი, უცხო, მაგრამ უაღრესად მრავალმხრივი და მრავლისმეტყველი. გამოფენაზე წარმოდგენილია მექსიკური ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე, მისი განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი, ხელოვნების ყველა დარგი — ქანდაკება, ფერწერა, ოქრომჭედლობა, არქიტექტურა, მრავალფეროვანი გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები. ჩვენ თვალწინ არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია, რომელიც მრავალ განსაცდელს გადაურჩა და დღესაც შენარჩუნებული აქვს განუმეორებელი თავისთავადობა...

მექსიკური კულტურის უძველესი ძეგლები ცნობილია ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან. აქ ამ დროს ფინაკლასობრივი საზოგადოება არსებობდა და ისევე როგორც ყველგან ამ ხანის ინდიელთა ხელოვნების ნიმუშებისათვის მარტივი, პრიმიტიული ფორმებია დამახასიათებელი

მას შემდეგ მთელი სამი ათასი წლის მანძილზე მექსიკის ტერიტორიაზე მრავალი ტომთა გაერთიანება აღზევდა და დაეცა, რომელთა კულტურას, უამრავ საერთო ნიშნებთან ერთად, ერთმანეთისაგან განსხვავებული თავისებურებებიც ჰქონდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში მექსიკის ყურის ნაპირებზე ჩამოყალიბდა ოლმეკთა კულტურა, რომელმაც მალე მაღალ განვითარებას მიაღწია და საფუძვლად დაედო მთელ მექსიკურ ცივილიზაციას. ოლმეკები ცხოვრობდნენ დიდ ქალაქებში, ჰქონდათ დამწერლობა, ქმნიდნენ გიგანტურ ქანდაკებებს, აკვირდებოდნენ პლანეტების მოძრაობას. მათი წარმოდგენები სამყაროზე ვლინდებიდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ რელიგიურ სისტემაში, რომლის არსი იყო ბუნების ყველა კომპონენტთა, სიკვდილისა და სიცოცხლის განუყოფელობა. ამ იდეის გამომსატყველია მთელი ოლმეკური ხელოვნება თავისი რთული სიმბოლიკით, ფორმათა ლაკონურობითა და მონუმენტურობით.

გამოფენაზე ოლმეკების ხელოვნებასთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი ტეოტიხუკანების, საპოტეკების, მიშტეკების, ტაპინების, ტოლტეკების და სხვა ტომთა კულტურა. მათ შორის, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაიების და აცტეკების კულტურას.

მაიას ტომი ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღზევდა და ამერიკაში ესპანელების მოსვლის შემდეგაც კარგა ხანს იარსება. მათ მიერ არის აშენებული იუტკანის დიდებული ქალაქები დაპირამიდები, სასახლეები და

მათ დიდაქალაქს — ტენოჩტიტლანს სიდიდით და მოსახლეობის ჯაღდენობით შუა საუკუნეების ევროპის ერთი ევროპული ქალაქი ვერ შეედრებოდა. აცტეკებმა უთვალსაჩინოეს წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებასა და ხელოვნებაში. მათი ხელოვნების თავისებურებებს განაპირობებდა რელიგია — ყველაზე უმკაცრესი ამერიკელ ტომთა რელიგიებს შორის.

აცტეკების არქიტექტურა მასიურია და გრანდიოზული, რაც მუზეუმში გამოფენილი პირამიდებისა და ტაძრების ანსამბლების მაკეტებით ადვილი წარმოსადგენია. მათი პათეტიკური, ტრაგიზმით გამსჭვალული ქანდაკებები, კონკრეტულობას მოკლებული, გარინდებული ფიგურები, იდუმალებით აღსავსე სიმბოლოებია.

დიდებული ტენოჩტიტლანის ნაგრავებზე აშენდა ქალაქი მეხიკო. ახალ ესპანეთში რენესანსული ბაროკალური, ნეოკლასიცისტური ნაგებობები აღიმართა, რომლებიც შესაბამისი სტილის ფრესკებით, ფერწერული ტილოებით, ქანდაკებებით დამშვენდა. გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი, მეხიკოს წმ. იოსების ტაძრის ოქროთი მოვარაყებული ხუთმეტრიანი საკურთხეველი (რეტაბლო) თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გაწყდა კავშირი ძველსა და ახალს შორის. ძველი მიიჩქმალა, მაგრამ მაინც დარჩა ხალხის ყოფასა და მეხსიერებაში, რაზეც ცხადად მეტყველებს გამოფენაზე წარმოდგენილი ხალხური ხელოვნების მრავალრიცხოვანი და საოცრად მრავალფეროვანი ნიმუშები.

ძველი ტრადიციების ნამდვილი აღორძინება დაიწყო მექსიკაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს (1910-1917 წწ). იმ წლებში, როცა ფეოდალური ჩაგვრა, ოლიგარქიული ტერორი, ეროვნული ჩაგვრა ერთ-ერთ ტალღად ადიოდა, ფერწერაში ერთ-ერთ ტალღად ადიოდა „სახალხო გრაფიკის სახელოსნოს“ წარმომადგენლებს ეკუთვნით.

თანამედროვე მექსიკური მონუმენტური ფერწერა, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, გამოფენაზე არ აირის წარმოდგენილა. იგი სასახლეების, კლუბების, სკოლების, დიდი საკრებულო დარბაზების კედლებზეა და ადამიანებს ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მოუწოდებს, ქადაგებს თავისუფლების, ძმეგიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის იდეებს. მაგრამ საშუალება გვაქვს გავეცნოთ ახალი დროის ამ ჭეშმარიტ საოცრებათა ავტორების— ხოსე კლემენტე ოროსკის, დიეგო რივერას და დავით ალფარო სიკეიროსის გრაფიკას და დაზგური ფერწერის ნიმუშებს.

გამოფენას ამშვენებს სიკეიროსის „პარტიზანი“ — ყალეზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული მექსიკელის გამოსახულება, რომელიც ძხატვრის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწარმოებად ითვლება. სიკეიროსი აქაც — დაზგურ ფერწერაშიც მონუმენტალისტია. იგი ფიგურის განზოგადებული, ძლავრი, პლასტიკურად მეტყველი ფორმებით, ნახატის ლაკონიურობითა და ეს კიზეური დუმთავრებლობით, კომპოზიციის ჭარბი ექსპრესიულობით ქმნის მონოლითურად მთლიან მხატვრულ სახეს.

უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანია შედარებით ახალგაზრდა თაობის მექსიკელი მხატვრებისა და მოქანდაკეების შეძლებანი. ისინი თავიანთი მხატვრული და ესთეტიკური მრწამსით ხშირად მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რასაც თვალნათლივ გვიდასტურებს გამოფენაზე წარმოდგენილი მათი ნამუშევრები.

ერთი სიტყვით, გამოფენა მეტად მასშტაბური და ყოვლისმომცველია. ასე ფართოდ და სრულად ჩვენს მაყურებელს არც ერთი ქვეყნის ხელოვნება არ უნახავს. იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შესახებ, რომელსაც დღესაც — ხელოვნებაში ეროვნული თავისებურებების ნიველირების ეპოქაში, შენარჩუნებული აქვს ეროვნული თავისთავადობა, მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური სახე. ეს კი მექსიკურ ხელოვნებას სრულიად განსაკუთრებულ ღირსებას და მნიშვნელობას ანიჭებს.

თ. სანიკიძე,

საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი.

• • •

სურათზე: დავით ალფარო სიკეიროსი — „პარტიზანი“.

ქართულ მწერლობას მიეძღვნა

აზერბაიჯანული პერიოდული გამოცემები დიდ ყურადღებას უთმობენ საქართველოს, ფართო პროპაგანდას უწევენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებსა და მათ ნაწარმოებებს, აშუქებენ აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს.

ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ყოველკვირეული „ადაბიათვე ინჯ�eთი“ („ლიტერატურა და ხელოვნება“) — აზერბაიჯანის მწერალთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ორგანო, „რომლის ერთ-ერთი ამასწინანდელი ნომრის ნაწილი ჩვენს რესპუბლიკას ეძღვნება. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე თავის სტატიაში — „ჩვენი ლიტერატურების ათასწლოვანი მეგობრობა“ — გვეასუბრება აზერბაიჯანელი და ქართველი მწერლების, პოეტების მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, ორი მოძმე ხალხის ლიტერატურათა განვითარებაზე. ამ სტრიქონების ავტორი გაზეთის მკითხველებს აცნობს ქართველი პოეტის სანდრო ეფოლის შემოქმედების აზერბაიჯანულ თემატიკას, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლეილა ერაძე მკითხველებს უზიარებს თავის შემოქმედებითს ეგზერციზებს, ს. რუსტამხანლი წერს აზერბაიჯანული ლიტერატურის მეგობარზე, აზერბაიჯანული ენიდან მთარგმნელ ზეზვა მეფულამვილზე, საშუალო სკოლის მასწავლებელთა ს. იამარმა წერილი მიუძღვნა „ქართულ მოთხრობებს“, რომელიც ბაქოში გამოვიდა აზერბაიჯანულ ენაზე. ნომერში აგრეთვე დაბეჭდილია: რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ანდერძი“, ჰეინრიტ ქემოკლიძის მინიატურები „უძილობა“, მედეა ჯახაძის, მურმან ლეონანიძის, ხუტა ბერულავის, რევაზ მარგიანი, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ნონეშვილის ლექსები.

გ. ველიევი.

მეგობრობის მუზეუმი

ქუთაისი. (სკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან საბჭოწლოდ გაიხსნა ინტერნაციონალური მეგობრობის ოთახ-მუზეუმი, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლალიაშვილი.

ოთახ-მუზეუმში გამოფენილია ხალხთა ლენინური მეგობრობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები და სხვა ექსპონატები, რომლებიც მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს.

„სკოლა და ცხოვრება“ № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის — **„სკოლა და ცხოვრების“** გასულის წლის უკანასკნელი, მე-12 ნომერი. იგი იხსნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარედაქციო წერილით — „ცოდნა-შეფასებამასწავლებელი“. ეერილი ეძღვნება რესპუბლიკის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილებისა და სასკოლო ცხოვრებაში შემორჩენილი მეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გაჩაღების ღონისძიებებს.

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბისალმება ნორჩ მეცენიერთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებისადმი, რომელიც ქ. გურჯაანში გაიმართა.

მთელი რიგი სხვა აქტუალური საკითხებია გაშუქებული ჟურნალის ამავე ნომერში.

ყურადღება — მაგისტრალური გაზსადენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი“ აცნობებს ყველა სამინისტროსა და უწყების, ამ ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომელთა ტერიტორიაზე გადის მაღალი წნევის (55 ატმოსფერამდე) მაგისტრალური გაზსადენი, რომ გაზი ფეიქრებადი და ხანძარსაშიშია.

მაგისტრალური გაზსადენის მექანიკურ დაზიანებას შეუძლია გამოიწვიოს გაზსადენის ავარია, რომელსაც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე დიდი ძალის აფეთქება და ხანძარი, რასაც შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაზსადენის დაზიანება, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი:

1. მაგისტრალური გაზსადენების ტრასის გასწვრივ მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად (იხ. სამშენებლო ნორმები და წესები 11-45-75) გამოიყოფა დაცვის ზონა — მინიმალური დასაშვები მანძილი მაგისტრალური გაზსადენის ღერძიდან დასახლებულ პუნქტებამდე, სამრეწველო საწარმოებამდე, ცალკეულ შენობებამდე.

შენიშვნა: სამშენებლო ნორმებსა და წესებში 11-45-75 მოთითებული ნორმები არ ვრცელდება საქართველოს სსრ მთავარ-აზის სისტემის გაზსადენებზე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

2. მაგისტრალური გაზსადენის დაცვის ზონაში აკრძალულია:

ა) რაიმე ნაგებობის აშენება;

ბ) ელექტრული ბაღების მოწყობა;

გ) სამშენებლო სამონტაჟო, ასაფეთქებელი, ჭარიელი, სამთო და სხვა სამუშაოთა წარმოება;

დ) მიწის და სხვა სამუშაოების შესრულება მიწასათხრელი მანქანების გამოყენებით, თუ არ არის ამაზე გაზსადენის მფლობელთა სპეციალური ნებართვა;

ე) საქონლის საგომების მოწყობა, პროდუქტების, სილოსის, სასუქების, საწყობების აგება, თიბის, ბზის დაზვინვა, ეკოლონის ანთება, სასროლების გამართვა;

ვ) საველე სადგომების მოწყობა, ხალხის თავმოყრა;

ზ) დროებითი დასასვენებელი ადგილის და გასაჩერებლების მოწყობა, ჯარების გაშლა და სხვ;

თ) საველე გზის გაყვანა გაზსადენიდან 10 მეტრზე ახლოს;

ი) სახაზო ჩამკეტი არმატურის, ავტოდაცვი და სადრენაჟო სადგურების, ვახსნა;

3. გაზსადენის გასწვრივ 6-მეტრიან ზოლში სასოფლო-სამეურნეო მრავალწლიანი კულტურების დარგვა.

4. კატეგორიულად აკრძალულია გაზსადენის ტრასის გამოყენება სატრანსპორტო გზად და გაზსადენის გადაკეთა მძიმეწონიანი მექანიზმებით და ტრანსპორტით სპეციალური გადასასვლელების მოუწყობლად, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს გაზსადენის მფლობელებთან.

5. მაგისტრალური გაზსადენების დაცვის ზონაში ნებისმიერი სამუშაოს: შესრულებისას სამუშაოს მწარმოებელი ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვები ვალდებული არიან სახანძრო-სათეს და სხვა სამუშაოთა წარმოებისას გაზსადენის ფლობელ ორგანიზაციასთან შეათანხმოს, აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარება და მიიღონ სპეციალური ნებართვა, სადაც აღნიშნული იქნება სამუშაოს შესრულების ადგილი და დრო, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, გაზსადენისა და ირსებული დანადგარების დაცვას.

6. გაზსადენის დაცვის აღნიშნული ღონისძიებები სრულდება სამუშაოს მწარმოებელ ორგანიზაციათა ძალებითა და სახსრებით გაზსადენის მფლობელი ორგანიზაციის მიერ ტაგიმული ტექნიკური პირობების თანახმად.

7. ყოველგვარი სამუშაოები უნდა შესრულდეს გაზსადენის მფლობელ ორგანიზაციათა პასუხისმგებელ პირთა დასწრებით.

8. სამინისტრონი, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც დაარღვევენ გაზსადენის დაცვის ზონას, პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სატრანსპორტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებო, საქმის მწარმოებლებო. ოსტატებო, ბულდოზერისტებო, მექანიკოვაკატორებო, მემანქანეებო, ბრიგადირებო:

მიაქციეთ ყურადღება გამაფრთხილებელ ნიშნებს, რომლებითაც აღნიშნულია გაზსადენების ტრასა; თუ გაზსადენიდან გაზის გაჟონვას შეინიშნავთ, გთხოვთ სასწრაფოდ აცნობოთ გაზსადენების მფლობელ სახაზო-საწარმოო სამმართველოს შემდეგი მისამართებით:

1. საგურამოს სსს — მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო; ტელეფონი — 66-22-49 მცხეთის ატს 22-54 (მომსახურებას უწევს მაგისტრალურ გაზსადენებს მცხეთის, გორდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, წითელი წყაროს, ყასპის, გორის, ქარელის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე)

2. ყაზბეგის სსს — ყაზბეგის რაიონი, სოფელი არმა, ტელეფონი ყაზბეგის ატს — 24-30 და 24-31 (მომსახურებას უწევს გაზსადენის ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიაზე).

3. ქუთაისის სსს — თერჯოლის რაიონი, სოფელი სარბევი; ტელეფონი 5-53-50 (მომსახურებას უწევს გაზსადენებს ბორჯომის, ხაშურის, სარჩერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონების ტერიტორიებზე).

ტექნიკური პირობების მიცემასა და პროექტების შეთანხმებას აწარმოებს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი“. გაერთიანების მისამართია: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი 12, ტელეფონი: 66-23-14; 66-15-06; 66-11-89.

(საქტრანსგაზი)



ქ. თბილისის კავშირგაგმულოგის № 65 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთა მიღებას 1978 წლის იანვარში

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ვაჟებისათვის სატელეფონო ქსელის მექანიკების და მშენებელი მლესავმლებავის სპეციალობაზე, სწავლის ვადა 8 თვე. სტიპენდია 80 მანეთამდე.

ქალები — ტელეგრაფისტის და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ტელეფონისტის სპეციალობაზე, სტიპენდია 30 მანეთი. სწავლის ვადა 1 წელია.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი.

ფრიადოსანი მოსწავლეები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას. მოსწავლეების სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ კვალიფიკაციის მინიჭების მოწმობას პროფესიასაში და გაიგზავნებიან სამუშაოდ კავშირგაბმულობის და მშენებლობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათით.

სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი) ან პასპორტი, 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ფოტოსურათი (3X4 სმ), 6. სამხედრო ბილეთი (ვეტერანებმა).

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებელს მისამართით 380014 თბილისი — 14 ნარიმანოვის ქუჩა № 8, ტელეფონები 72-44-44 ან 72-35-35.

ტრანსპორტი კოლმეურნეობის მოედნიდან ტროლეიბუსი 7 და 10. ავტობუსი 16, 23, 39, 59 გაჩერება „ორთაჭალამესი“.

სასწავლებლის დირექცია.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ ბაზაზე არსებული

თბილისის 97-ე ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1978-1979 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-25 წლის ქალაშვილები და ვაჟბუკები.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს ეძლევათ 30-37 მანეთი სტიპენდია და პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

სასწავლებელში ყოფნის დრო უწყვეტ სამუშაო სტაჟად ჩაითვლება. კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს აქვთ გარკვეული შეღავათები.

მოსწავლეები სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილებული იქნებიან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ სპეციალობათა მიხედვით.

სწავლის ვადა ერთი წელია.

სწავლა დაიწყება 16 იანვარს. განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. დახასიათება, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ავტობიოგრაფია, 6. ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ), 6 ცალი, 7. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის ბარათს წარმოადგენთ პირადად.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა, 9-დან 17 საათამდე.

მისამართი: თბილისი ჯიქიას ქუჩა № 3. № 2, 47, 67 ავტობუსი — ბოლო გაჩერება, ხოლო ავტობუსი № 20, 49, 53 და ტროლეიბუსი 4, 5, 6, 11, 12, 14 — ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლო გაჩერება.

ტელეფონი: 31-21-76, 31-93-31, 31-93-29.

რით პრის ძლიერი ქალათგურთი?

ახალგაზრდული შემადგენლობით

დღეს აშშ-ის სტუდენტთა გუნდებთან 6 მატჩის გასამართავად მიემგზავრება სსრ კავშირის კლუბების „ქალათბურთელთა ნაკრები. „ის შემადგენლობაში ძირითადად ახალგაზრდები შედიან: ლენინგრადელი ს. ტარაკანოვი, მოსკოველები ს. ერიომინი, ა. მიშეხი, ა. ლოპატოვი, ვ. ჟიგილი, კიეველები ა. სალნიკოვი, ა. ბელოსტენნი, ვ. ტკაჩენკო, „ეუნასელები ა. ლინკავიჩუსი, ს. ი. ვაშა, თბილისელი ნ. დერიუგინი და მინსკელი ა. პოპკოვი.

პრეზიდენტთა ეაზრი

ბელგრადი, 10 იანვარი. (საკ. ფსი). მსოფლიოს ჩემპიონობის ორეტენდენტების ფინალური მატჩის მეჩვიდმეტე პარტია ვ. კოჭნიწნოისა და ბ. სპასკის შორის გადაიდო 41-ე სვლაზე. გადადებულ პარტიაში გაიმარჯვა კოჭნიწნოიმ. ანგარიშია 9,5:7,5 მის სასარგებლოდ.

მენრეალის ოლიმპიადის შემდეგ მოწყობილი ყოველი საკავშირო ჩემპიონატი, საერთაშორისო ტურნირი ან უბრალო ამხანაგური შეხვედრა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდის, სსრ კავშირის ნაკრების მომზადებას მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის. ასეთი კონკრეტული ამოცანაა დასმული დღეს ნეიხსმიერი სახეობის სპორტის წინაშე, და კალათბურთიც, ცხადია, თავის მუშაობას ამ გზით გეგმავს.

მაგრამ საბჭოთა კალათბურთს უფრო ლოკალური პრობლემებიც აქვს გადასაჭრელი. ამ პრობლემათა სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა ნელ-ნელა თითქმის ყველა საპატიო ტიტული დაკარგა, საკლუბო გუნდებმა კი ევროპული ტურნირების საკვანძო მატჩები წაგეს გასულ სეზონში.

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი წამყვანი მწვრთნელები და სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ 45-ე საკავშირო ჩემპიონატს, რომელმაც უნდა განსაზღვროს საბჭოთა კალათბურთის სახე უახლოეს წლებში.

ბოლო დროს პრესაში არა ერთი და ორი პრობლემური წერილი დაიბეჭდა კალათბურთის პერსპექტივებზე. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯებიც ამასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხთა ორგანიზაციული განმტკიცების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია საკავშირო ჩემპიონატის ახალი, სამსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრების გეგმები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების პროცესში თებერვალ-მაისში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა. — მათგან უმთავრესი იქნება მსოფლიოს ჩემპიონთან — გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრა მაინის ფრანკფურტში 8 მარტს. აპრილში ჩვენი ნაკრები უმასპინძლებს ფინეთის ეროვნულ გუნდს, ხოლო მაისში გაემგზავრება რუმინეთში.

სამი გამარჯვება

ლას-პალმასში (კანარის კუნძულები) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა წყალში მხტომელებმა ოთხი სახეობიდან სამ სახეობაში გაიმარჯვეს: 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის პირველობა დაისაკუთრა მინსკელმა ვ. ალეინიკმა, ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო მოსკოველი ტ. პოდმარევა, კოშკიდან ხტომაში — მოსკოველი ვ. ვაიცეხოვსკაია.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

11 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „შიძკინების ოჯახი“ და „ჩემი ოცნების ქალაქი“ (ფერადი), 10.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იოკო“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — შვილსწავლოთ გერმანული ენა, 18.20 — ბავშვებისათვის „მხიარული სასტუმრო“ (ფერადი. განმეორებით), 19.05 — „ვმართოთ ხარისხი“, 19.35 — „საუსტრადო პანორამა“ (ფერადი), 20.05 — მულტიპლიკაციური ფილმი „აურზაური“, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მუდმივი ძახილი“. მეოთხე სერია (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — უძლიერეს ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები (ოდესიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ზღარბები უკვლოდ იბადებიან“ (ფერადი), 19.15 — განცხადებები, 19.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძველთაძველი ტრაქტორი“, 19.50 — კონცერტი, 20.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ეს მოხდა მეეგორიეში“.

რადიო

12 იანვარი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მუსუბეი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — თ. გურგენიძის კონცერტი, 11.45 — „დღისით მოციმციმე ვარსკვლავი“. რადიონარკვეული, 12.25 — სცენის ოსტატები, 12.36 — ხ. მირიანაშვილი. სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ ნ. დუმბაძე — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (დასასრული), 17.35 — მოსწავლეთათვის „თაობათა გადაძახილი“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.00 — მალენინთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „მუშაობის ხარისხი და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები“, 19.20 — ვ. გოკიელი. საორკესტრო პიესები, 20.30 — „ძმადნაფიცობის ათინათები“, 21.00 — „ძილისპირული“, 22.10 — „საღამოს მელოდიები, 23.30 — ო. თაქთაქიშვილი. კანტატა „გზური სიმღერები“.

თელევიზია

11 იანვარი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 07619

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.